N 60-7-114-95

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 02/02/02

ქ. თელავი 17.02.2014წ

ჩვენ, ერთის მხრივ, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (შემდგომში "დამკვეთი"), წარმოდგენილი მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე სულხან ზუმბურიძის სახით, ხოლო მეორე მხრივ, **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"** (შემდგომში "შემსრულებელი"), წარმოდგენილი თელავის სერვის ცენტრის მენეჯერის ალექსანდრე შათირიშვილის სახით შევთანხმდით და დავდეთ წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად „შემსრულებელი" კისრულობს ვალდებულებას „დამქირავებელს" გაუწიოს მომსახურება სპეცტექნიკით «VOLVO BL-61», სახ. №BB-196, ხოლო თავის მხრივ „დამქირავებელი" იღებს ვალდებულებას გადაუხადოს „შემსრულებელს" შეთანხმებული საზღაური.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელების ადგილია ქ. ახმეტა.

2. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

2.1 **„დამკვეთი" ვალდებულია:**

- დროულად აუნაზღაუროს „შემსრულებელს" გასამრჯელო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

2.2. **„შემსრულებელი" ვალდებულია:**

- განახორციელოს მომსახურება არსებულ სტანდარტების შესაბამისად;
- "მექანიზმს" დროულად თავისი ხარჯებით ჩაუტაროს მიმდინარე და კაპიტალური რემონტი;

2.3 **„შემსრულებელი"** უზრუნველყოფს „მექანიზმს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებისათვის საჭირო საწვავით.

3. მომსახურების ღირებულება, მიღება-ჩაბარების წესი და ანგარიშსწორების პირობები

3.1. ხელშეკრულების საორიენტაციო ღირებულებაა 540 (ხუთასორმოცი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, ყოველ ნამუშევარ საათზე გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება კი შეადგენს 60.00 (სამოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3.2. მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებისას შეადგენენ მიღება-ჩაბარების აქტს, რომელშიც აისახება ფაქტიურად ნამუშევარი საათების რაოდენობა, შესაბამისი ანაზღაურების მითითებით.

3.3. ანგარიშსწორება „შემსრულებელთან" განხორციელდება 3.2. პუნქტში აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.2. ხელშეკრულებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზარალი და მიუღებელი შემოსავალი სრული ოდენობით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.3. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე.

6.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელება, მოხდება 2014 წლის 19 თებერვალს.

7. სადაო საკითხების გადაჭრის წესი

7.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

8.1. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

8.2. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი უთანხმოებანი, რაც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 ეგზემპლარად.

მხარეთა რეკვიზიტები

„დამკვეთი"

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"

მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. № 2
ს/კ 204995176

სულხან ზუმბურიძე

„შემსრულებელი"

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
(ს/კოდი: 412670097 მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №76ბ; მომსახურე ბანკი: ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი. ბ/კ LBRTGE22

ა/ა GE77LB0113123325230012

ალექსანდრე [illegible]